

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის, დაფინანსების მიღების პროცედურები და სახელმძღვანელოების შექმნისა და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნები**

**მუხლი 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების მიზანი**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების მიზანია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა.

**მუხლი 2. სახელმძღვანელოების შექმნის და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნები**

1. სახელმძღვანელოს და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის შინაარსი უნდა ფარავდეს, სულ მცირე, აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მთელ შინაარსს.

2. ახალი და არსებითად გადამუშავებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის სახელმძღვანელოების დადგენის მეთოდოლოგია მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

3. სახელმძღვანელოს და სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს, სულ მცირე, საგნისთვის მინიჭებული კრედიტის და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა.

4. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების დათვლისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფაკულტეტების სპეციფიკა.

5. სახელმძღვანელო და უცხოური სასწავლო ლიტერატურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ფარავდეს აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსში მითითებულ ყველა თემას (შესაძლებელია დამატებითი თემების შემოტანაც საჭიროების შემთხვევაში);

ბ) საკითხავი მასალა და მისი დამუშავება შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურისათვის უნდა უტოლდებოდეს არანაკლებ 5-7 გვერდს ერთ ასტრონომიულ საათში (გვერდი 2000 ასონიშანი ინტერვალებით).

6. სახელმძღვანელოსა და უცხოური სასწავლო ლიტერატურის ყველა თავის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს:

ა) შესავალს - რა საკითხი იქნება განხილული, რა არის ამ თავის მიზნები და ამოცანები;

ბ) ძირითად ტექსტს;

გ) ძირითადს ცნებებს;

დ) დამატებით საკითხავ წყაროებს;

დე) საკვანძო საკითხებს კონკრეტული თემის მიხედვით მასალის ორგანიზებისათვის;

ე) სავარჯიშოებს, ქეისებს, ამოცანებს და/ან სხვა მასალას წაკითხულის გააზრებისა და სტრუქტურირებისათვის;

ვ) წყაროების მითითებისას უნდა იყოს დაცული რომელიმე აკადემიური სტილი, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებენ შესაბამის დარგში.

7. იმ შემთხვევაში თუ სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურა სრულფასოვნად არ შეესაბამება ამ მუხლის მე-3 - მე-6 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ დასაბუთებული იქნება მისი მნიშვნელობა და თარგმნის საჭიროება, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით.

### **მუხლი 3. დაფინანსების მიღება**

სახელმძღვანელოების შექმნასა და, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის თაობაზე უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაფინანსება/ჰონორარი გაიცემა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.